გზ-539

ახალგაზრდა
სტალინელი.
1959 I-VII, IX-XII

ჟურ-532
1959
I-VII, IX-XII
N1-34

5614

ჯ5-532
I-VII, IX-XII N1-34




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

№ 1 (243) | გამოცემის მერვე წელი | ხუთშაბათი, 8 იანვარი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

თბილისი
ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილეს, საბჭოთა კავშირის გმირს
ამხ. დ. ჯაბიძეს

ყუსტანაის ოლქის პეშკოვის რაისაბჭოს აღმასკომი თქვენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, რომლებიც ჩვენთან მუშაობდნენ ნაყამირალზე, გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ წარმატებებს სწავლასა და შრომაში.

ა. გნოევოი,
პეშკოვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.



თოვს...
წარსულ დღეებს თვლიან ფიფქები,
თოვს...
სიხარულით თრთიან ფიფქები,
თოვს...
გამარჯვებებს თვლიან ფიფქები,
ცვივა ფიფქები, როგორც ფიქრები.
დიდი სიცოცხლის წელი ახალი,
დიდი მშვიდობის წელი ახალი,
დიდი შენების წელი ახალი
კარს მოგვდგომია გულის ფართქალით.
გახსენი გული, გული გახსენი,
გამარჯვებების წელო ახალო,
ახალ დიდებას მოველით შენგან,
რომ გაიხაროს მთელმა სამყარომ,
გახსენი გული, წელო ახალო!..

ვაჟა ჟუჟუნიძე

## სამგორის ბაღში

„მიწა რბილი იყო, მაგრამ სველი ბელტები ბარს ეკვროდა და ერთისამად აძნელებდა მუშაობას.

ნაცრისფერი ღრუბელი იწურებოდა და მოწყენილობა ჩამოჰქონდა დედამიწაზე.

ისე ქინქლავდა, შემოდგომამ რომ იცის მხოლოდ.

ნესტიანი სიცივე იყო.

ქროდა..."

ასე დაიწყებდა, იქ რომ ყოფილიყო, რომელიმე გულგატეხილი ნოველისტი..

...ამინდი მართლაც ცუდი იყო, ძალიან ცუდი. მაგრამ მერე რა?

— მოდი ბიჭო!

— რას გაჩერდი, ბერდია! (ბერდია პოეტია და მაინც გაიტაცა შემოდგომის რომანტიკამ).

— ბრიგადირო, ბარი გამიტყდა.

— არა უშავს, სხვას მოეხმარე.

— ასე ვიდგე, კაცო?!

— მავას ბავშვობიდანვე იტაცებდა სოფლის მეურნეობის სამუშაოები,—ოხუნჯობს ვიღაც...

წვიმს. მძიმდება ბარები. დასველდა საწვიმრები. პალტოები. მაგრამ სიცილი მაინც მოსდევს ნორჩი ხეების მწკრივებს და სველ ტოტებთან ერთად შემოგეფეთება ამ ხეივნებში.

ეს ხეივნები კი სამგორის ველზე ესესაა იწყებენ გამოწევას — თბილისის ზღვის სანაპიროზე ქართველმა მებაღეებმა დენდროლოგიურ პარკს ჩაუყარეს საფუძველი.

ამ ბაღში ტრიალებენ ხელმარჯვე ბიჭები.

— აქაური ბრიგადაა?

— არა, დღეს აქ ფილოლოგიის ფაკულტეტის უნივერსიტეტის სახელობის კომკავშირელთა შრომითი ბრიგადა მოვიდა სამუშაოდ.

დამხვდურებმა ცოტა ირონიული ღიმილი შეაგებებს:—უნივერსიტეტელებმა, თანაც ფილოლოგებმა, რა უნდა გააკეთონ. ალბათ წესიერი ბარიც არ უნახავთო.

რას იზამ! ბიჭებმა არაფერი თქვეს, არც აგრძნობინეს.

და როცა გადაბარული ხის ძირების მწკრივები ერთმანეთს მიჰყვა, მერე გაიმართნენ წელში და ენაც გამართეს:

— პატივცემულო აგრონომო (აგრონომი სულ ოციოდ წლის გოგონაა და ალბათ ჯერ არცაა აგრონომი) როგორ მოგწონთ, ჰა? ვიცით მუშაობა? — დაიწყო ერთმა.

— აბა, ერთი ჩემი ნაბარი გაზომეთ, ნამეტანი არ მომივიდეს — აჰყვა მეორე.

და დაიწყო.

იცინოდნენ. ახლა შეიძლება არ გაგეცინოთ, მაშინ კი იცინოდნენ, თავიანთი მარჯვენის ძალას ხედავდნენ, თავიანთი შრომით კეთილ საქმეს აკეთებდნენ და უხაროდათ. (გულში მაინც ყველა პოეტი იყო და გადაბუგული სამგორის აყვავებაც, რაც არ უნდა იყოს, — პოეტურია)...

იმ დღეს მხოლოდ 25 კაცის გაყვანა იყო საჭირო. ორმოცამდე მოვიდა. მაინც ჩაეტივნენ ბარებთან ერთად ჩვენს ავტობუსში.

— ასეთ ამინდში ხალხი სამუშაოდ არ გაგვყავს,—თქვეს დენდროლოგიური პარკის მუშაკებმა.

ბიჭები მაინც გავიდნენ.

600-მდე ხეს გადაუბარეს ძირი.

— ყოჩაღ, ბიჭებო! — ესეც თქვეს იქ.

ბიჭები ხელის გულზე შემხმარ ტალახს იცილებდნენ და ამბობდნენ:

— ეს ჯერ დასაწყისია. გვაცალეთ, ჯერ გამოცდებს ჩავაბარებთ და მერე...

არმაზ სანებლიძე



## დიადი მიღწევა

1959 წლის 2 იანვარს საბჭოთა მეცნიერების მიერ გაშვებულ იქნა პირველი კოსმოსური რაკეტა მთვარის მიმართულებით, რომლის უკანასკნელი საფეხური გადაიქცა მზის ხელოვნურ ცთომილად (პლანეტად). პირველად კაცობრიობის ისტორიაში დაძლეულ იქნა დედამიწის მიზიდულების ძალა. შეუძლებელია ჩვეულებრივი სიტყვებით გამოვხატოთ ამ გრანდიოზული მოვლენის მნიშვნელობა.

მრავალსაფეხურიანი კოსმოსური რაკეტის უკანასკნელმა საფეხურმა მიიღო მეორე კოსმოსური სიჩქარე 11,2 კმ/წამში და გადააჭარბა კიდევაც მას. ამ ნაწილის წონა კი საწვავი მასალის ჩაუთვლელად 1472 კილოგრამია. მასზე დადგმულია ძვირფასი ხელსაწყო-იარაღები — მთვარის მაგნიტური ველის აღმოსაჩენად, დედამიწის მაგნიტური ველის გარეთ კოსმოსური სხივების ინტენსივობისა და ამ ინტენსივობის ვარიაციის შესასწავლად, მთვარის რადიოაქტივობის აღმოსაჩენად და მეცნიერებისათვის საინტერესო მრავალი სხვა საკითხის შესასწავლად.

რაკეტაზე აგრეთვე მოთავსებულია სპეციალური რადიო-გადამცემები, რომლებიც გადმოსცემდნენ როგორც ყველა ამ იარაღ-ხელსაწყოების მონაცემებს, ისე რაკეტის ელემენტებს, რომელთა საშუალებით ხდებოდა რაკეტის მოძრაობის ტრაექტორიის ელემენტების განსაზღვრა ელექტრონული საანგარიშო მანქანებით. რაკეტაზე ოპტიკური დაკვირვებების მოსახდენად დადგმული იყო სპეციალური აპარატურა, რომელსაც შეეძლო გამოეშვა ნატრიუმის ღრუბელი — ხელოვნური კომეტა.

როგორც დაკვირვებები გვიჩვენებს, რაკეტაზე დადგმული იარაღ-ხელსაწყოები, რომელთა წონა 361,3 კილოგრამია, მუშაობდნენ სრულიად ნორმალურად. ამ იარაღებმა წინასწარი პროგრამით გათვალისწინებული ამოცანები მთლიანად შეასრულეს. ხელოვნურმა პლანეტამ გაუარა რა მთვარეს 6000 კმ მანძილზე, გადმოსცა მთელი რიგი სრულიად ახალი მონაცემები, რომელთა შესწავლა ხელოვნური თანამგზავრების საშუალებითაც კი შეუძლებელი იყო.

კოსმოსურმა რაკეტამ 5 იანვარს 11 საათისათვის (სტარტიდან 62 საათის შემდეგ) გაიარა 597 ათასი კილომეტრი და ამ გზაზე სტარტიდან 34 საათის შემდეგ ახლოს გაუარა მთვარეს. კოსმოსური რაკეტის დაკვირვებისა და მეცნიერული კვლევის პროგრამა დამთავრდა. რაკეტა საბოლოოდ გავიდა მზის გარშემო თავის (როგორც ხელოვნური პლანეტის) ორბიტაზე 7—8 იანვარს, რომლის ელემენტებია: მზის გარშემო გარემოქცევის დრო — 447 დღეღამე, ორბიტის დიდი დიამეტრი — 343,6 მილიონი კმ, ექსცენტრისიტეტი—0,148, ხელოვნური რაკეტის დიდი ღერძი დახრილი იქნება დედამიწის ორბიტის დიდ ღერძთან 15°-ით, ხელოვნური ცთომილი იქნება პერიჰელიუმში (ყველაზე ახლოს მზესთან) 14 იანვარს — 146,4 მილიონ კმ-ის, ხოლო ყველაზე შორს (აფელიუმში) 1959 წლის სექტემბრის დასაწყისში — 197,2 მილიონი კმ-ის დაშორებით. დაახლოებით 5 წლის შემდეგ ხელოვნური ცთომილი კვლავ დაუახლოვდება დედამიწას რამდენიმე ათეული მილიონი კილომეტრის მანძილზე.

ჩვენს უნივერსიტეტში ასტრონომიის კათედრასთან დადგმული იყო სპეციალური იარაღი რაკეტაზე დასაკვირვებლად. 3 იანვარს 4 ს. 57 წუთზე მოხდა კოსმოსურ რაკეტაზე პირველი დაკვირვება და მიუხედავად არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებისა, შემჩნეულ იქნა რაკეტიდან გამოტყორცნილი კომეტისებური ნატრიუმის ღრუბლის გამოსახულება.

დაკვირვებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ასტრონომიის კათედრის თანამშრომლები: დოც. მ. კოლხიდაშვილი, უფრ. ლაბორანტი გ. ქევანიშვილი, ლაბორანტი მ. კაშია. მორიგეობის დროს კეთილსინდისიერად შეასრულეს თავისი მოვალეობა ფიზიკის ფაკულტეტის თანამშრომლებმა გ. შერეზადაშვილმა და მ. კეთილაძემ, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება პირველს გაეგოთ ცნობა კოსმოსში რაკეტის გაშვების შესახებ.

1959 წლის 2 იანვრით იწყება საპლანეტშორისო ფრენის ერა. ეს ჩვენი საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უდიდესი ტრიუმფია.

გ. კვირკველია,
ხელოვნურ თანამგზავრებზე ვიზუალური დაკვირვების სადგურის გამგე.

# გამოცდები დაიწყო!

## მათი შრომა გამართლდა

ყოველ ახალ წელს დასაწყისშივე თან მოაქვს წარმატებები; მიღწევები და მათი მუდმივი თანამგზავრი — სიხარული. მიღწევები იყო გასული — 1958 წელი, რომელმაც თავისი ჭეშმარიტად გრანდიოზული მიღწევებით კიდევ უფრო მოუხვეჭა სახელი და ავტორიტეტი დიდ საბჭოთა ხალხს. მიღწევები სწავლასა და შრომაში ახარებს და აღაფრთოვანება ახალი შეუპოვარი მუშაობისათვის ყველას, მაგრამ განსაკუთრებით ჩვენს მომავალს, საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს, მოსწავლე ახალგაზრდობას — სტუდენტობას. მე, ამ სტრიქონების ავტორს, როგორც სტუდენტთა ერთიანი ოჯახის წევრს, მსურს რამდენიმე სიტყვით ვუამბო ჩემს თანატოლებს, ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის სტუდენტებს, იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა ჩვენი ჯგუფი დიადი შვიდწლიანი გეგმის პირველ წელს სწავლაში, როგორი სტარტი ავიღეთ, რა პატარა საჩუქარი მოვუმზადეთ ჩვენს ფაკულტეტს, უნივერსიტეტს, სამშობლოს.

ვილაპარაკებთ მოკლედ.

კარგად შეხვდა ჩვენი ჯგუფი — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გერმანული განყოფილების მესამე კურსის სტუდენტები — ახალ, 1959 წელს. ჩვენი ფაკულტეტი დიდი და ნამდვილად კარგი ტრადიციების მქონეა და, ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ ტრადიციას არც ჩვენ ვუღალატეთ. საზამთრო სესიების პირველი გამოცდა, როგორც ყოველთვის, სპეციალობაში — გერმანულ ენაში ჩავაბარეთ. მასწავლებლები კმაყოფილი იყვნენ ჩვენი მუშაობით სემესტრის მანძილზე, ჩვენ კი გვახარებდა ის, რომ კარგი მომზადებით ვხვდებოდით გამოცდებს. შედეგმაც არ დააყოვნა.

დადგა 3 იანვარი. ჩვენს მომავალ სიხარულს დაემატა და ჩვენი ძალები გააორკეცა ახალმა, ჭეშმარიტად აღმაფრთოვანებელმა ამბავმა, რომელიც დილით ადრე მოგვიტანა რადიომ, ამბავმა იმის შესახებ, რომ 1959 წლის 2 იანვარს საბჭოთა კავშირში მთვარის მიმართულებით გაშვებულ იქნა მსოფლიოში პირველი საპლანეტათშორისო კოსმოსური რაკეტა, რომელიც წარმატებით განაგრძობს სრბოლას კოსმოსში...

დაიწყო გამოცდა. გამომცდელთა წინაშე წარდგნენ სტუდენტები ნ. მოდებაძე, გ. მაისურაძე და ამ სტრიქონების ავტორი. კარგი მომზადება კარგი შედეგის საწინდარია, ამბობენ, და ეს მართლაც ასეა. სტუდენტების მტკიცე, დარწმუნებულმა პასუხებმა ლექსიკაში, ფონეტიკაში და გრამატიკაში (გამომცდელები ა. ლაშქარაძე და ვ. ფურცელაძე) შედეგად პირველი ფრიადები მოიტანეს. საერთოდ ამ დღეს ჩვენი ჯგუფის 17 სტუდენტიდან 12-მა კარგი შეფასება მიიღო. ეს ძალზე სასიხარულოა, როგორც სტუდენტების, ისე მასწავლებლებისათვის. მათი შრომა გამართლდა. სტარტი ძალიან კარგია, სასურველი იქნება, თუ სტუდენტები ასეთივე პასუხისმგებლობით და კარგი მომზადებით წარდგებიან დანარჩენ საგნების გამოცდებზე (სულ 4 გამოცდა) და გამარჯვებულები მივლენ ფინიშთან.

მაშ ასე, წარმატებებს გისურვებთ მეგობრებო!

**ზაზა კორსაველი,**

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის III კურსის III ჯგუფის სტუდენტი.

## სწავლაშიც წარმატებებს გისურვებთ!

ხელით ელვისებური სისწრაფით გამოტყორცნილი ბურთი ბადეში შეცურდა... აპლოდისმენტები მით უფრო ძლიერი იყო, რომ ამ ბურთის ავტორი თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე, ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი ოთარ მიმინოშვილი იყო.

ოთარმა კარგი თამაშით ადრევე გამოიჩინა თავი ჯერ რიგაში 1957 წ. მოსწავლეთა მეოთხე საკავშირო სპარტაკიადაზე, ხოლო შემდეგ 1958 წ. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გამართულ მოსწავლეთა მეხუთე სპარტაკიადაზე. იგი ორივეჯერ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები კოლექტივის წევრი იყო. „დაიჭირეთ ნომერი ოთხი!" — ხშირად გაისმოდა მოწინააღმდეგეთა ხმები. „ოთხი ნომერი" — ოთარი მიმინოშვილი იყო.

1958 წელი განსაკუთრებით სასიხარულო იყო ოთარისათვის. ამ წელს იგი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე შევიდა და ამავე დროს თბილისის „დინამოს" წყალბურთელ ოსტატთა გუნდის წევრი გახდა. მონაწილეობა მიიღო წყალბურთელთა საკავშირო შეჯიბრებაში. ასეთასპარეზობაში მონაწილეობა პირველი იყო ოთარისათვის. იგი განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა შეჯიბრებისათვის და უნდა ითქვას, რომ ო. მიმინოშვილის თამაშმა მისი მწვრთნელის (სსრკ დამსახ. მწვრთნელი რ. ჩაჩავა) მოლოდინს გადააჭარბა. იგი გამოირჩეოდა, როგორც საუკეთესო ტექნიკის მქონე ენერგიული მოთამაშე და მანაც გარკვეული წვლილი შეიტანა გუნდის მიერ საპატიო ადგილის მოპოვებაში.

ამჯერად ოთარ მიმინოშვილის, როგორც ყველა სტუდენტის, მიზანია წარმატებით ჩააბაროს გამოცდები და გვჯერა, რომ იგი ამას გააკეთებს. კარგი სპორტსმენი სწავლაშიაც მოწინავე იქნება.

**როინ მეტრეველი**

## ვამხილოთ ჩამორჩენილი სტუდენტები

უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო წლის 1 სემესტრში ლექცია-პრაქტიკუმები 31 დეკემბერს დამთავრდა. იგულისხმება, რომ ამ დროისათვის უნდა დამთავრებულიყო ჩათვლებიც. მაგრამ ჩვენ სტუდენტთა შორის გვყავნან ისეთები, რომელთაც 5 იანვრისათვის არ ჰქონდათ მიღებული ჩათვლა ზოგს თითო, ზოგსაც მეტ საგანში.

დღევანდელი I კურსის სტუდენტებს კარგად ახსოვთ სულ ოთხიოდე თვის წინათ, აგვისტოს თვეში ჩატარებული მისაღები გამოცდების ციებ-ცხელება. აბა, რომელი მათგანი გაივლებდა გულში, რომ უნივერსიტეტის სტუდენტად გახდომის შემდეგ იზარმაცებდა, დაუდევრად მოეკიდებოდა საქმეს და უნივერსიტეტიდან გასარიცხად გაუხდებოდა საქმე.

ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტების საკმაოდ მოზრდილ ჯგუფს არა აქვს ჩათვლები პოლიტეკონომიაში. ვასახელებთ მათ გვარებს: რ. კერესელიძე, ენ. მელია, კ. მოდებაძე, პ. ქობესოვი, გ. ბედუიძე, ვლ. ნარსადიძე, ფ. წერეთელი და სხვ.

ნუთუ მოსათმენია ის გარემოება, რომ ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის დასახელებული სტუდენტები უგულისყუროდ ეკიდებიან იმ მეცნიერებას, რომლის ღრმად ცოდნაც საჭიროა არა მარტო ეკონომისტის, არამედ ყოველი განათლებული მოქალაქისათვის.

ვფიქრობთ, ფაკულტეტის დეკანატი სათანადოდ იმსჯელებს დასახელებულ სტუდენტთა შესახებ.

თითო საგანში ჩათვლა არა აქვთ ბიოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტს ც. თოფურიძეს, ფილოლოგიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტებს: მ. ვაჩნაძეს, ლ. გურგენაშვილს, მ. ლალიძეს, ხოლო მ. კეკელიძეს—ორ საგანში.

I კურსის სტუდენტები, რომლებიც ასე უდარდელად ეპყრობიან სწავლის საქმეს, მკაცრად უნდა დაისაჯონ, რათა სამუდამო გაკვეთილი იყოს ეს მათთვის. ზოგჯერ ზარმაც სტუდენტებს იმედი აქვთ სხვადასხვა შეღავათებისა და წლიდან წლამდე ინარჩუნებენ ზარმაცისა და ჩამორჩენილის ჩვევებს. ხშირად მათ ან ჩათვლა არა აქვთ ან გამოცდა ვერ ჩააბარეს და მძიმე ტვირთად აწვანან უნივერსიტეტს, ხელს უშლიან მას მაღალი აკადემიური წარმატებების მიღწევისათვის ბრძოლის გზაზე.

ვასახელებთ ზოგიერთი ასეთი სტუდენტის გვარს: იურიდიული ფაკულტეტიდან II კურსის სტუდენტი შ. ჩიქობავა, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები მ. მხეიძე, მ. ჯაფარიძე. ამავე ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი შ. ჯანაშვილი; ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები მ. გველესიანი, ზ. ნემსაძე და სხვები.

აუცილებელია კომკავშირის ორგანიზაცია უფრო აქტიურად სწავლობდეს აკადემიურად ჩამორჩენილ სტუდენტთა საკითხს და დეკანებთან ერთად გადამწყვეტ ზომებს იღებდეს ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის.



△

გამოცდების პირველი დღეები ჩვენს უნივერსიტეტში უჩვეულო გამოცოცხლებით ხასიათდება. კაბინეტ-ლაბორატორიები და სამკითხველო დარბაზები გადატვირთულია ბეჯითი სტუდენტებით, რომლებიც წუთსაც არ კარგავენ უქმად. დერეფნებში, აუდიტორიების კარებთან სტუდენტები შეჯგუფებულან. ზოგი უკანასკნელად ავლებს თვალს სახელმძღვანელოსა თუ ჩანაწერს, ზოგი გამოცდიდან გამოსულ მეგობარს ფრიადის მიღებას ულოცავს, ზოგი კი არაა თავის ცოდნაში დარწმუნებული და გამოცდაზე შესვლა ვერ გაუბედავს, შიშობს...

პირველ დღეებს პირველი დიდი წარმატებები მოჰყვა. გამოცდების ციებ-ცხელება უფრო და უფრო საგრძნობი ხდება.

**სურათებზე:** (ზემოთ): ქიმიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ე. რუსია (მარჯვნივ) დიალექტიკურ მატერიალიზმში გამოცდას აბარებს საგნის მასწავლებელს ა. გონაშვილს. (ქვემოთ) გამოცდა გერმანულ ენაში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის III კურსზე. საგნის მასწავლებლებს — ვ. ფურცელაძეს (მარჯვნიდან პირველი) და ა. ლაშქარაძეს (მარჯვნიდან მეორე) პასუხობენ სტუდენტები — ჯ. ჩხიკვაძე (მარცხნიდან პირველი) და ზ. კორსაველი (მარცხნიდან მეორე).

ფოტო ა. გემჯიანისა.

▽



## რატომ ვერ მიიღეს ჩათვლა ფიზკულტურაში

უნივერსიტეტის I და II კურსის სტუდენტები სასწავლო გეგმის მიხედვით გადიან სავალდებულო მეცადინეობას ფიზიკურ კულტურასა და სპორტში. კათედრაზე მკაცრადაა დაყენებული მეცადინეობაზე სტუდენტთა დასწრების აღრიცხვის საკითხი. სტუდენტი, რომელსაც გააცდება მეცადინეობა, საპატიო მიზეზით იქნება ის თუ არა საპატიოთი, ვალდებულია აღადგინოს ეს მეცადინეობა, რათა ათვისოს ნორმატივების შესრულებისათვის გამიზნული ყოველი ვარჯიში. ფაკულტეტზე მომუშავე ფიზკულტურის მასწავლებლები პირველად აფრთხილებენ ფიზკულტურის მეცადინეობის უმიზეზოდ გამცდენ სტუდენტებს, ამის შემდეგ ისინი თვეში ერთხელ მაინც აწვდიან ცნობას დეკანატებსა და ფაკულტეტის ალკკ ბიუროებს ფიზკულტურის მეცადინეობის გამცდენთა შესახებ, რათა მიღებული იქნეს სათანადო ზომები. ასე რომ, არცერთი გაცდენილი კაცსაათი არ რჩება რეაგირების გარეშე. მეცადინეობაზე დასწრების ასეთი აღრიცხვიანობა, რა თქმა უნდა, მოწონებას იმსახურებს.

ფიზაღზრდის საქმე რომ წარმატებით მიდიოდეს ჩვენს უნივერსიტეტში, საჭიროა განსაკუთრებული კონტაქტი არსებობდეს ფაკულტეტების ფიზკულტურის მასწავლებლებსა, დეკანატებსა და ალკკ ბიუროებს შორის. მათი შეთანხმებული მუშაობა, ერთობლივი ღონისძიებები უთუოდ სასურველ შედეგებს მოგვცემდა. ამის სანიმუშო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კონტაქტი ფილოლოგიის ფაკულტეტის ფიზაღზრდის მასწავლებელსა (ამხ. ირ. ბაქრაძე) დეკანატსა და ალკკ ბიუროს შორის, ფაკულტეტზე ფიზკულტურის მეცადინეობათა გაცდენების რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შემდეგ გაცდენათა რაოდენობა მინიმუმამდე დავიდა. მიუხედავად ამისა ფაკულტეტზე მაინც დარჩა რამდენიმე სტუდენტი, რომელთაც არ მიეცათ ჩათვლა ამ საგანში. ვასახელებთ რამდენიმე მათგანს. გოგოძე ნანა—არ დასწრებია ერცერთ მეცადინეობას, აქედან გამომდინარე, არცერთი ნორმატივი არ ჩაუბარებია და ჩათვლისთვისაც არ გამოცხადებულა. სავსებით ასეთივე მდგომარეობა აქვს სტუდენტ ჰელიძე ნანულის. რუსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების სტუდენტი ნოდარ თარხნიშვილი ჩვენს უნივერსიტეტში გადმოვიდა სასწავლო წლის დასაწყისში, იგი ირიცხებოდა ფაკულტეტზე, მაგრამ არცერთხელ ფიზკულტურის მეცადინეობაზე არ გამოცხადებულა და ფაკულტეტზე მისი არსებობის შესახებ ფიზკულტურის კათედრამ არაფერი იცოდა.

ამავე განყოფილების სტუდენტი გ. ხაჭაპურიძე 18 მეცადინეობიდან დაესწრო მხოლოდ პირველ ხუთ გაკვეთილს, შემდეგ არ ჩანს და არც აინტერესებს გაიგოს, როგორაა მისი ჩათვლის საქმე ფიზკულტურაში. კათედრა სავსებით სამართლიანად მოიქცა, როდესაც ამ სტუდენტებს ჩათვლა არ მისცა.

დიდი რაოდენობით იყო ფიზკულტურის მეცადინეობის გაცდენა ისტორიის ფაკულტეტზე, მაგრამ დეკანატის მიერ მიღებული ზომების შედეგად გაცდენათა რაოდენობამ საგრძნობლად იკლო, თუმცა სასურველი შედეგი სემესტრის ბოლომდე მაინც არ იყო მიღწეული. ამ ფაკულტეტზე ჩათვლები არ მიუღიათ სტუდენტებს: ნ. ვაჩნაძეს, ნ. რაფავას, გ. ხოჯავას. ეს სტუდენტები არ გამოცხადებულან არცერთ მეცადინეობაზე და, რა თქმა უნდა, ვერც ჩათვლისთვის მივიდოდნენ ისინი მასწავლებელთან, ამ სტუდენტთა შესახებ ეცნობა ფაკულტეტის დეკანატს და ალკკ ბიუროს, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა.

ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ლიანა სულაძემ ყალბი ცნობა წარმოუდგინა კაედრას ცურვის სექციიდან. სტუდენტი ფაქტიურად დაესწრო 12 მეცადინეობას მასწავლებელი ილინი კი მას ცნობას აძლევდა, თითქოს იგი 36 მეცადინეობას დასწრებია. ეს სიყალბე დროულად იქნა შენიშნული და ამჟამად ამ სტუდენტს ჩათვლა არა აქვს ფიზკულტურაში. ასევე, ჩათვლა არა აქვს ფიზკულტურაში სტუდენტებს: ნ. სოფჩინსკის და დ. ვეფხვაძეს. ეს სტუდენტები იშვიათად დადიოდნენ მეცადინეობაზე, არცერთი ნორმატივი არ ჩაუბარებიათ და ჩათვლისათვისაც არ გამოცხადებულან. საინტერესოა, ფაკულტეტის დეკანატი რას ფიქრობს ამის შესახებ.

შეიძლება პირდაპირ განვაცხადოთ, რომ ზოგიერთი ფაკულტეტის დეკანი სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებს იმ გარემოებას—სტუდენტი დადის თუ არა ფიზკულტურის მეცადინეობაზე და აქვს თუ არა მას ჩათვლა ამ საგანში, ის გარემოება, რომ უნივერსიტეტმა ვერ შეასრულა III სპორტული თანრიგის გეგმა, ნაწილობრივ ზოგიერთი დეკანატის მხრივ ამ საქმისადმი ასეთი უსულგულო დამოკიდებულების შედეგიცაა.

**გ. კამკამაძე**

# სტუდენტ-კომკავშირელთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების შესახებ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების დადგენილებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებანი მთელი სიმძლავრით აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი გმირობისათვის, ყველა საბჭოთა ახალგაზრდაში იწვევენ მხურვალე სურვილს, რათა მთელი ძალები მიმართული იქნეს იქითკენ, რომ უფრო სწრაფად განხორციელდეს კომუნიზმის ეს დიდებული პროგრამა.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვანი მხარდაჭერით ხვდება ამ დიდ მნიშვნელოვან ღონისძიებებს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობა, თავიანთ აღმზრდელ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად.

უნივერსიტეტში ამჟამად მიმდინარეობს ამ ისტორიული დოკუმენტების განხილვა-შესწავლა. აკადემიურ ჯგუფებში ბევრი პროფესორი და დოცენტი, უფროსკურსელი სტუდენტები, ეწევიან პოლიტ-აღმზრდელობით მუშაობას, უნერგავენ სტუდენტ-ახალგაზრდობას შრომისადმი, სწავლისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი სიყვარულს.

ასობით მოწინავე სტუდენტი კომკავშირელი ეწევა აგიტაციას მასებში, მოსახლეობაში. ისინი ესაუბრებიან დიასახლისებს, მუშებს, მოსამსახურეებს, იმ გრანდიოზულ ამოცანებზე, რაც დგას დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე, ჩვენი ხალხის წინაშე.

კომკავშირის კომიტეტის მიერ მოწვეული აქტივის თათბირზე დაისახა ამოცანა, რომ უნივერსიტეტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და დახმარებით კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს მუშაობა სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია — საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი — ყოველთვის საქმით პასუხობდა პარტიის, ლენინური კომკავშირის ყოველ ღონისძიებასა და მოწოდებას.

მთელს ჩვენს ქვეყანაში ცნობილია ჩვენი უნივერსიტეტის გმირული შრომითი საქმიანობის შესახებ ყამირსა და ნასვენ მიწებზე — სადაც ჩვენი კომკავშირლები პარტიის მოწოდებით წავიდნენ, მამაცური შრომით შორს გაითქვეს სახელი და ამით ასახელეს მშობლიური უნივერსიტეტი. ამაზე მეტყველებს ის გარდამავალი დროშები, ვიმპელები, საპატიო სიგელები, რითაც დაჯილდოვებულია უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია, და ის მედლები, რითაც საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა ჩვენი ყამირელი კომკავშირლები.

არც მშობლიურ თბილისს ივიწყებენ ჩვენი ახალგაზრდები. მათ ბევრი შრომა გასწიეს ქალაქის გამწვანებაზე, სამგორის ზღვისა და სხვა სამუშაოებზე, სადაც ბევრი კარგი საქმე გააკეთეს.

ჩვენი კომკავშირლები ეხმარებიან მილიციის ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. მათ რამდენიმე გამსვლელი რეიდი მოაწყეს ქალაქში და ამით ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთეს.

ამჟამად, როცა მიმდინარეობს მოსახლეობის საკავშირო აღწერა, ბევრი ჩვენი სტუდენტი მონაწილეობს მასში და კეთილსინდისიერად ეკიდება ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს, ეხმარებიან სახელმწიფო ორგანოებს ამ კამპანიის მაღალხარისხოვნად ჩატარებაში.

ახლა, როცა მთელს ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო შრომითი აღმავლობაა იმ დიდი მიზნების განხორციელებისათვის, რაც ჩვენს ხალხს დაუსახა ბრძენმა პარტიამ, როცა ყველგან დაუცხრომელი შრომის გუგუნი გაისმის, როცა ახალ-ახალი შრომითი მიღწევებით მივდივართ დასახული მიზნის განხორციელებისაკენ, თვითეული ჩვენგანის ამოცანაა ვისწავლოთ და ვიშრომოთ კომუნისტურად, ვიყოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანები. სტუდენტის, კომკავშირლების აღზრდა არ ამოიწურება მხოლოდ განათლებით, სწავლებით.

სწავლისა და განათლების განუხრელად დაკავშირება პრაქტიკულ მუშაობასთან, მუშათა და გლეხთა ბრძოლაში მონაწილეობასთან — აი, რა უანდერძა კომკავშირს ლენინმა.

აღნიშნავდა რა შრომის უდიდეს აღმზრდელობით როლს, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „მხოლოდ მუშებთან და გლეხებთან ერთად შრომაში შეიძლება გახდე ნამდვილი კომუნისტი".

ამ შრომითი აღმავლობის დღეებში, სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობისათვის მზადების პერიოდში, ყრილობისა, რომელიც დასახავს კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, საწარმოებში და სოფლის მეურნეობაში ფართოდ გაჩაღდა კომკავშირელთა და, საერთოდ, ახალგაზრდობის პატრიოტული მოძრაობა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელის მოპოვებისათვის.

ამ დიდ პატრიოტულ მოძრაობასთან დაკავშირებით ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შეიქმნა კომკავშირული შრომის ბრიგადა, რომელშიც გაერთიანდა 50-მდე მოწინავე სტუდენტი. ფილოლოგების კომკავშირულმა შრომითმა ბრიგადამ ვალდებულება აიღო კვირა დღეებსა და მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს იმუშაოს დედაქალაქის ახალ მშენებლობებზე და კეთილმოწყობაზე, ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე.

ბრიგადამ მოწოდებით მიმართა უნივერსიტეტის დანარჩენი ფაკულტეტებისა და თბილისის უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირლებს — მიბაძონ მათ მაგალითს, შექმნან კომკავშირული შრომის ბრიგადები წარჩინებული სწავლისა და დაუზარებელი შრომის ბრიგადები, დაეხმარონ ჩვენი ქალაქის მშენებლებს, დაეხმარონ რათა ხვალ კიდევ უკეთესი, უფრო ლამაზი გახდეს ჩვენი თბილისი.

ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივას მხარი დაუჭირეს სხვა ფაკულტეტების კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და ეჭვი არ არის სხვა უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციებიც ერთსულოვნად დაუჭერენ მხარს ამ პატრიოტულ ღონისძიებას.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ეს ინიციატივა მოიწონეს უნივერსიტეტის პარტიულმა და კომკავშირის კომიტეტებმა და ქმედითი დახმარება აღუთქვეს მათ.

ფილოლოგები შეუდგნენ საქმის განხორციელებას, უკვე გავიდნენ ისინი გაზმშენის მშენებლობებზე, სამგორის გამწვანებაზე.

ამჟამად უნივერსიტეტში დაიწყო მეტად პასუხსაგები კამპანია, მიმდინარეობს ზამთრის საგამოცდო სესიები. ახლა ჩვენი სტუდენტები თავიანთ აღმზრდელებს აბარებენ გასული სემესტრის სწავლისა და შრომის შედეგებს, სტუდენტები ძირითადად კარგი მომზადებით შეხვდნენ გამოცდებს. ყველგან ბიბლიოთეკები, სანკითხველოები, კაბინეტები, ლაბორატორიები გადატვირთულია სტუდენტებით.

ბრძოლა სტუდენტთა მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის, სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესებისათვის კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

უნივერსიტეტის კომკავშირულმა ორგანიზაციამ, ალკკ კომიტეტმა, ფაკულტეტების, კურსების ალკკ ბიუროებმა, პარტიული ორგანიზაციის დახმარებით და ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა გასწიეს სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური, სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის გაუმჯობესების, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის და ეჭვი არ არის, რომ ჩვენი სტუდენტობა, როგორც ყოველთვის ახლაც მიაღწევს მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს და წარმატებით დაამთავრებს საგამოცდო სესიებს.

ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და დახმარებით შემდეგშიც მტკიცედ იბრძოლებს სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური, სასწავლო-სამეცნიერო დონის ამაღლებისათვის, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის, იბრძოლებს, რათა ისწავლონ და იშრომონ კომუნისტურად, მისცენ სამშობლოს თანამედროვე ტექნიკის ადამიანები, აღზარდონ ახალგაზრდობა სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის სულისკვეთებით.

**ზურაბ გაბუნია,**
სტალინის სახელობის თსუ ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე.

# დოც. ვ. ა. ქორჩაკიძე



29 დეკემბერს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი უნივერსიტეტის დოცენტი ვ ა ს ი ლ პ ე ტ რ ე ს ძ ე ქ ო ჩ ა კ ი ძ ე.

ვ. ქოჩაკიძე ორი ათეული წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტთა აღზრდის საქმეს უნივერსიტეტსა და საკავშირო ვაჭრობის დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში.

ვ. ქოჩაკიძე დაიბადა 1907 წელს ქ. ქუთაისში. იგი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1926 წელს შედის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1930 წელს.

1931—1936 წლებში მუშაობს ეკონომისტად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის სისტემაში და იმავე დროს მასწავლებლობს სავაჭრო ტექნიკუმებსა და სასწავლო კომბინატში, სადაც კითხულობს ლექციებს საბჭოთა ვაჭრობის ორგანიზაციასა და ეკონომიკის საკითხებზე.

1936—1939 წლებში ვ. ქოჩაკიძე სწავლობდა მოსკოვის პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1940 წლის იანვარში ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის კათედრაზე, სადაც გარდაცვალებამდე კითხულობდა ლექციებს საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკაში, ვაჭრობის ორგანიზაციასა და ტექნიკაში, ტრანსპორტის ეკონომიკაში, საგარეო ვაჭრობაში და სხვ.

ვ. ქოჩაკიძეს 1942 წლიდან მინიჭებული ჰქონდა დოცენტის წოდება. იგი დაჯილდოვებული იყო მედლით — 1941—1945 წწ. დიდი სამამულო ომის პერიოდში შრომითი მამაცობისათვის.

დოც. ვ. ქოჩაკიძე იყო გულისხმიერი, ნიჭიერი მეცნიერი მუშაკი; იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტებს შორის.

ვ. ქოჩაკიძე წლების მანძილზე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა თეორიულ კონფერენციებში როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ — ვაჭრობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე. იგი ავტორია რიგი სამეცნიერო ნაბეჭდი შრომებისა. მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია გამოსცემს მის მონოგრაფიას ვაჭრობის ეკონომიკის საკითხებზე.

ვასილ ქოჩაკიძის უდროოდ დაკარგვა დიდი დანაკლისია ქართული ეკონომიური მეცნიერებისა და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და მრავალრიცხოვან სტუდენტთა გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

# ვემზადებით მოსახლეობის საკავშირო აღწერისათვის

მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერა არის პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს სახალხო-მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას. მას დიდი პოლიტიკური და სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. სოციალისტურ ქვეყანაში სახალხო მეურნეობის განვითარება და მშრომელთა კეთილდღეობის ზრდა სახელმწიფო გეგმით განისაზღვრება. აღწერის პროგრამა ითვალისწინებს საგეგმო და სამეურნეო მუშაობისათვის აუცილებელ მონაცემთა მიღებას. აღწერის შედეგებში აისახება უდიდესი ეკონომიური და კულტურული გარდაქმნები, მომხდარი ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შემდეგ 20 წლის მანძილზე.

აღწერის შედეგად უნდა მივიღოთ ზუსტი მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის, განლაგებისა და შემადგენლობის შესახებ სქესის, ასაკის, ოჯახური მდგომარეობის, ეროვნების, მშობლიური ენის და განათლების მიხედვით, რათა ვიცოდეთ, თუ როგორ იყოფა მოსახლეობა მოსაქმეობის, სახალხო მეურნეობის დარგების, წარმოების სახეების, საარსებო საშუალებათა წყაროებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით.

მთელი ჩვენი უნივერსიტეტისა და განსაკუთრებით ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტობა ამ მნიშვნელოვან მოვლენას დიდი ენთუზიაზმით ხვდება.

ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მოსახლეობის № 2 საალწერო განყოფილება ძირითადად დაკომპლექტებულია ეკონომიური ფაკულტეტის III, IV და V კურსის სტუდენტებით.

აღნიშნული განყოფილების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ აგრეთვე ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის, ისტორიისა და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთა შორის დიდი ნაწილი კარგად მუშაობს. საალწერო განყოფილებას ემსახურებიან თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები და საფინანსო ტექნიკუმის მსმენელებიც, რომლებმაც წინასწარ გაიარეს რა სათანადო ინსტრუქტაჟი გამოიჩინეს აღწერის ჩატარების წესისა და საალწერო ფურცლის შევსების წესის კარგი ცოდნა. აღმწერლებად მუშაობენ აგრეთვე ჩვენი ქალაქის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების თანამშრომლები.

აღწერის დროულად და კარგად ჩატარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტრუქტორ-კონტროლიორთა ორგანიზებულ მუშაობას.

№ 2 საალწერო განყოფილების ინსტრუქტორ-კონტროლიორები კარგად მუშაობენ. მათ უკვე დიდი ხანია დაადგინეს თავისი საინსტრუქტორო და საალწერო უბნების საზღვრები, დააზუსტეს სახლმფლობელობათა რაოდენობა და მოსახლეობის სავარაუდო რიცხოვნება. აღმწერლებს აბარებენ საალწერო უბნებს.

საალწერო განყოფილების ირგვლივ დარაზმულია აქტივი, რომელიც დიდ მონაწილეობას იღებს განყოფილების საორგანიზაციო მუშაობაში. მათ შორის გამოირჩევიან დ. ცინცაძე (გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ლაბორანტი), ზ. მუშკუდიანი (ფიზკულტურის კათედრის პრეპარატორი), დ. მიხელაშვილი (ეკონომიური ფაკ. IV კურსის სტუდენტი), ნ. გიგიბერია (ეკონომიური ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი) და სხვ.

სამწუხაროდ, არიან ახალგაზრდათა შორის ისეთები, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ გაიგეს ამ დიდი საქმის მნიშვნელობა, გაურბიან მას, ასეთებია: ლ. წულუკიძე (ეკონომიური ფაკ. III კ. სტუდენტი), რ. დოლიძე (ეკონომიური ფაკულტეტის III კ. სტუდენტი), რ. ცისკარიშვილი (ეკონომიური ფაკ. IV კ. სტუდენტი).

ინსტრუქტორ-კონტროლიორები და აღმწერლები უზრუნველყოფილი არიან სამუშაო ბინით, სათანადო მასალებით, მოწყობილი საკონსულტაციო კუთხეებით, დამხმარე საუბრების ჩატარებით და სხვ.

განყოფილებამ დაიწყო საალწერო კადრის განმეორებითი ინსტრუქტაჟი — აღწერის ჩატარებისა და საალწერო ფურცლის შევსების წესის ცოდნის გასაღრმავებლად.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის დერეფანში მოწყობილია სტენდები საინტერესო მასალებით. ინსტრუქტორ-კონტროლიორების ინიციატივით გამოშვებულია კედლის გაზეთი „აღმწერის ხმა" № 1.

საალწერო განყოფილებას მუშაობაში დიდ დახმარებას უწევს ჩვენი უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია, რექტორატი, ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი, სტატისტიკის კათედრა და უნივერსიტეტთან შექმნილი მოსახლეობის აღწერის ხელშემწყობი კომისია.



**სურათზე:** თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მოსახლეობის № 2 საალწერო განყოფილების გამგე ვ. ბურჭულაძე (მარჯვნიდან მეოთხე) დამატებით ინსტრუქტაჟს უტარებს ინსტრუქტორ-კონტროლიორებს — ჩვენი უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტებს.
ფოტო ა. ვემჯიანისა

**ვ. ბურჭულაძე,**
ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მოსახლეობის № 2 საალწერო განყოფილების გამგე.



⊙

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა ადრე დაიწყეს გამოცდებისათვის მზადება, დროულად მოათავეს ჩათვლები და მომზადებულნი შეხვდნენ ზამთრის საგამოცდო სესიებს.

სურათზე: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგიის სპეციალობის IV კურსის სტუდენტები (მარჯვნიდან მარცხნივ) — მ. ანთელავა, ა. პირველი და ლ. რცხილაძე დოც. თ. ივანიცკისთან მინერაგრაფიაში ჩათვლის დროს.

⊙



სურათზე: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ჰიდროლოგიის სპეციალობის V კურსის სტუდენტებს — რ. სანიკიძეს (მარცხნიდან პირველი), ი. თედორაშვილს (მარცხნიდან მესამე) და დ. ჩიქობავას (მარჯვნიდან პირველი) სადიპლომო შრომებზე მუშაობის ირგვლივ კონსულტაციას უწევენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ჩვენი უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ჰიდროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე აკადემიკოსი მ. საბაშვილი (მარცხნიდან მეორე) და დოც. თ. ცომაია (მარჯვნიდან მეორე).

ფოტო ა. გემჯიანისა

⊙

# სააახალწლო საჩუქარი








უნივერსიტეტის კალათბურთელების ლამაზ თამაშს, მაყურებლების შეძახილებისა და მოწონების ოვაციებს ყველა ჩვენგანი მიუზიდნია.

უნივერსიტეტელებს უყვართ კალათბურთიცა და თავიანთი კალათბურთელებიც. ეს თუნდაც იმაში გამოიხატება, რომ ქალაქის პირველობაზე უნივერსიტეტელი მაყურებელი ყველას ჭარბობს ხოლმე.

ჩვენი კალათბურთელები, მართალია, თბილისის „დინამომ" და „ქარიშხალმა" „დაჩაგრეს", მაგრამ ბოლო ხანებში ისინი „ა" კლასის ამ გუნდებს ღირსეულ მეტოქეობას უწევენ. გავიხსენოთ კიროვის სახელობის პარკი ერთი თვის წინ და უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდის მიერ დამარცხებული „ქარიშხალას" კალათბურთელები, ამ შეხვედრაში ჩვენმა სპორტსმენებმა მაღალი ტექნიკა და შესანიშნავი ბრძოლისუნარიანობა გვიჩვენეს. მათმა თამაშმა აშკარად დაგვანახა, რომ ტრადიცია ძლიერის სასარგებლოდ ირღვევა.

კოლექტიურობა, მაღალი დისციპლინა, დახვეწილი ტექნიკა, გამარჯვებისადმი სწრაფვა, ყველაფერი ეს გააჩნია უნივერსიტეტის ვაჟ კალათბურთელთა გუნდს (მწვრთნელი — დავით ქამუშაძე), მაგრამ მას აკლია მაღალი ტანის ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც კალათბურთში გადამწყვეტია. ამ მხრივ იმედებს იძლევა პირველი კურსის სტუდენტი გ. სუბელიანი.

სპორტში ყოველი მნიშვნელოვანი წარმატების უკან დაძაბული შრომა იგულისხმება. ჩვენმა ვაჟმა კალათბურთელებმა რომ ამ დღეებში კონსტიტუციის სახელობის თასი მოიპოვეს, საქალაქო გათამაშებაში, ესეც ენერგიული და სისტემატური წვრთნის შედეგია. პირველ რიგში ეს შედეგი ეკუთვნის მურმან ხაჭაპურიძეს, რომელიც მოწინააღმდეგის ფარის „რისხვაა", არჩილ ოდიშარიას, ჭკვიანური კომბინაციების თავსა და ბოლოს, კარლო ადეიშვილს, ფარის ყველაზე ერთგულ დარაჯს, „სნაიპერ" მიქაბერიძეს, რთულ სიტუაციებში კარგი ალღოს მქონე გოლუმბიევსკისა და ჭიჭინაძეს, მოწინააღმდეგის დაცვის გამრღვევ ქობაჩიშვილსა და ბახჩიევს.

კონსტიტუციის თასი ჩვენი ვაჟი კალათბურთელების საახალწლო საჩუქარია.

ეს ერთი და სხვა მრავალი... ამ თასით დაილოცოს თქვენი გამარჯვებები, ჩვენო კალათბურთელებო!

სურათებზე: (ზემოდან) — დ. ქამუშაძე (გუნდის მწვრთნელი), თ. ქობაჩიშვილი, მ. ხაჭაპურიძე, ა. ოდიშარია, გ. თამლიანი, ჯ. ვაჩეიშვილი.








სურათებზე: (ზემოდან) — ა. ჭიჭინაძე (გუნდის კაპიტანი), კ. ადეიშვილი, ბ. ჭანტურიშვილი, ა. მიქაბერიძე, გ. სუბელიანი, გ. ბახჩიევი.

# კარგად შედგენილი ლექსიკონი

ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროსა და დეკანატის თაოსნობით 26 დეკემბერს მოეწყო პროფ. ვ. თოფურიასა და პროფ. ს. ყაუხჩიშვილის მიერ შედგენილი რუსულ-ქართული სასკოლო ლექსიკონის განხილვა.

რუსული ენის კათედრების გაერთიანებული სხდომა, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ ლექსიკონის შემდგენელი პროფ. ვ. თოფურია და რედაქტორი დოც. ი. გიგინეიშვილი, გახსნა რუსული ენის № 1 კათედრის გამგემ დოც. დ. მგელაძემ. მოხსენება ლექსიკონის შესახებ გააკეთა რუსული ენის № 2 კათედრის წევრმა დოც. ალ. კობახიძემ. მან მაღალი შეფასება მისცა აღნიშნულ ლექსიკონს, როგორც მეტად სასარგებლო და საჭირო წიგნს, რომელსაც გამოიყენებენ არა მხოლოდ საშუალო სკოლის მოსწავლეები. მომხსენებელმა ვრცლად და გულდასმით გაარჩია ლექსიკონის უკანასკნელი გამოცემა და აღნიშნა, რომ წინა გამოცემებთან შედარებით იგი მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. ეს იგრძნობა ყველაფერში — ლექსიკონის აგების პრინციპებში, ლექსიკური მასალის შერჩევაში, მის დამუშავებასა და გადმოცემაში. ლექსიკონის შემდგენელთა დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს რუსული ლექსიკური მასალის (არსებითი და ზედსართავი სახელების, ზმნისა და სხვ.) ისეთი ფორმების ჩვენება, რომლებიც მაქსიმალურად უადვილებენ მკითხველს ამ სიტყვათა დანარჩენი ფორმების გაგება-დამახსოვრებას. სწორად და მოხდენილად არის ნათარგმნი რუსული სიტყვების ან გამოთქმების გადატანითი მნიშვნელობა. მაგალითად: подумаешь!—დიდი ამბავია! და სხვ.

ლექსიკონის დიდი ღირსებაა მასში წარმოდგენილ სიტყვათა აქტიური ხასიათი. ლექსიკონი თავისუფალია მოძველებული ან იშვიათად სახმარი სიტყვებისაგან და მკითხველს აწვდის სიტყვების ისეთ მარაგს, რომელიც გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში, ჟურნალ-გაზეთებში, პოპულარულ ლიტერატურაში და რომელიც წარმოადგენს რუსული ენის ღრმად შესწავლის საფუძველს.

მომხსენებელმა დაწვრილებით განიხილა ლექსიკონის ნაკლოვანებებიც, რაც ძირითადად, ცალკეული სიტყვების დამუშავებაში (მახვილის ადგილი, მართლწერა, შესატყვისობის სიზუსტე და მისთ.) მდგომარეობს. არის კორექტურული შეცდომებიც.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დოცენტებმა: ნ. ხოფერიამ, თ. მრევლიშვილმა, ე. ბელინსკაიამ, ნ. კოლესნიკოვმა და სხვ. მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ ლექსიკონის ახალი, შევსებული გამოცემა კარგი შენაძენია არა მარტო საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის, არამედ ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობისთვისაც. იგი უკვე დიდ დახმარებას უწევს უმაღლესი სასწავლებლების იმ პედაგოგებსაც, რომლებიც რუსულ ენას ასწავლიან.

ამასთან, იყო შენიშვნებიც. დოც. ე. ბელინსკაიამ გამოთქვა სურვილი, რომ ლექსიკონის შემდგომ „გამოცემაში ცალკე თავად იყოს გ[illegible]-თი დაწყებული სიტყვები. მეთოდურად ეს გამართლებული იქნება, რადგანაც სტუდენტებს ზოგჯერ უძნელდებათ ასეთი სიტყვის მოძებნა e-ასოს ქვეშ. ნ. კოლესნიკოვმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოთა სახელწოდების აბრევიატურების — შემოკლებით დაწერის — პრინციპი ზოგჯერ დარღვეულია. მაგ., არის США — (Соединенные Штаты Америки) მაგრამ არ არის КНР — (Китайская Народная Республика) და სხვ.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა პროფ. ვ. თოფურია, რომელმაც მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და დამსწრეებს ლექსიკონის ასე ყურადღებით გარჩევისათვის და საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთა შენიშვნებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს. მან აღნიშნა, რომ ლექსიკონის დანიშნულება, რომ იგი სასკოლოა, საშუალებას არ იძლევა ტერმინოლოგიის უფრო უხვად წარმოდგენისას. წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნის მოცულობა ერთიორად გაიზრდებოდა. გეოგრაფიული და ინტერნაციონალური ლექსიკიდან, აღნიშნა მან, ჩვენ შევიტანეთ ის სიტყვები, რომლებიც ქართულში და რუსულში განსხვავებით გამოითქმებიან ან იწერებიან. მაგ., Финляндия — ფინეთი; Коммунист—კომუნისტი; Квартал —კვარტალი და სხვ. ზოგიერთი სიტყვის მართლწერის განსხვავება რუსული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონთან შედარებით იმით აიხსნება, რომ ჩვენი რუსულ-ქართული ლექსიკონის ერთი ნაწილი II ასომდე უკვე მზად იყო დასაბეჭდად რუსული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონის გამოსვლის დროს და, რა თქმა უნდა, მართლწერა მაშინდელი ნორმებითაა მოცემული, ასე მაგ., 1956 წლამდე რუსულ ლექსიკონებში იწერებოდა панцырь და ჩვენც ასე გვაქვს, ახალი წესით კი панцирь უნდა იწერებოდეს. შემდეგ კი ასეთი განსხვავება უკვე აღარ გვხვდება.

ასეთი ინტერესი ამ ლექსიკონისადმი, —დასძინა პროფ. ვ. თოფურიამ დასასრულ, — იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ ყველას გვინდა გვქონდეს კარგი სასკოლო ლექსიკონი და აქ გამოთქმული შენიშვნები მომავალში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იქნება.

**გ. წიბახაშვილი,**
ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული ენის კათედრის ასპირანტი.



# საახალწლო არდადეგებზე

გვეწვია ახალი, 1959 წელი. 7-წლიანი გეგმის პირველი წელი, რომელიც დაიწყო საბჭოთა მეცნიერების ახალი ტრიუმფით — საბჭოთა კავშირიდან პირველი კოსმოსური რაკეტის წარმატებით გაშვებით.

კიდევ მრავალსა და მრავალ გამარჯვებას მოგვიტანს ახალი წელი, ჩვენი ბედნიერი ცხოვრებისათვის, ჩვენი ბედნიერი ახალგაზრდობისათვის, ბავშვებისათვის.

სკოლებში დაიწყო საახალწლო არდადეგები. ყველაფერი მზადაა ბავშვთა გონივრული დასვენებისათვის. ბავშვებო! თქვენთვის განკუთვნილია დღის სპექტაკლები. ბევრი თქვენთაგანი ბაკურიანის თოვლიან ტყეს ეწვევა და თხილამურებზე ცურვით იჯერებს გულს.

თბილისში დარჩენილთათვის, უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა შვილებისათვის კი უნივერსიტეტის ადგილკომი და პროფესორ-მასწავლებელთა ცოლების საბჭო აწყობს საახალწლო ნაძვის ხეს. ჩვენი ბავშვები თვითონ უწყობენ ხელს ბუნების ამ უტყვი სიმშვენიერის შენარჩუნებას. მათ ძალიან უყვართ და ახარებთ ნაძვის ხე, მაგრამ ნაძვის ხის ზეიმის შემდეგაც არ სურთ ბუნებას დაეკარგოს ეს მშვენიერი მცენარე. ამიტომაა, რომ საახალწლო ნაძვის ხისათვის მოტანილი მცენარე ჩვენ უნივერსიტეტის ბაღში დავრგეთ.

ბავშვებო, დავეხმაროთ ჩვენს საყვარელ მებაღეს, პატივცემულ ამბაკოს, ჩვენი ნაძვის ხის მოვლა-გახარებაში.

ნაძვის ხის ზეიმი ჩატარდება 11 იანვარს. ზეიმზე მოწვეული არიან სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობები. ამ დღეს მარტო ნორჩები როდი იზეიმებენ. მოეწყობა აგრეთვე პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა საოჯახო საღამო-კონცერტი.

**ლ. დოლონაძე,**
ადგილკომის ბავშვთა შორის მომუშავე კომისიის ხელმძღვანელი.

რედაქტორი ირ. ვეშაპიძე

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 2 000. უე 00717.